თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2023 წლის 24 ნოემბერი
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 17

ქ. თერჯოლა 24 ნოემბერი 2023 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ეკა ბერძენიშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემურ ქოჩიაშვილი, 5. ლაშა გურგენიძე,6. იზა მაგრაქველიძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. კობა კაცაძე, 9. ომარ ჯიხვაშვილი, 10. ბადრი ბუცხრიკიძე, 11. ჯემალ ისაკაძე, 12. ელისო მურადაშვილი, 13. მანუჩარ ფანჩულიძე, 14. შალვა ჭანკვეტაძე, 15. გრიგოლ გიორგაძე, 16. დავით გოგბერაშვილი, 17. კახა ბუცხრიკიძე, 18. რამინი რობაქიძე, 19. თამარ ახვლედიანი, 20. ფრიდონ გვენეტაძე, 21. ნატალია ასათიანი, 22. რუსუდან კოვზირიძე, 23. როლანდი მესხი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ნინო მახათაძე, 2. გოჩა ვერულაშვილი, 3. დავით ცხადაძე, 4. კობა კირკიტაძე, 5. მერაბი ბასილაძე, 6. ტარიელ ფანჩულიძე, 7. ივანე ჩუბინიძე

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 23 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ა(ა) იპ - ის ხელმძღვანელი პირები.

სხდომა დაიწყო 13 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 13 ⁴⁵სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-2823322560, 21.11.2023 წ.);

მომხს.: თ.ქოჩიაშვილი

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის“ დადგენილების პროექტის, 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის დანართის და 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282331849, 14.11.2023 წ.);

მომხს.: თ ქოჩიაშვილი

3. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების, ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის Nგ-29.292301115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282332564, 22.11.2023 წ.);

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (სოფელ თუზში, მე-8 ქუჩა №4 -ში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (მრავალწლიანი ნარგავები) 5162 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 5 (ხუთი) წლის ვადით მოქალაქე ავთანდილ კოჩაძისათვის გადაცემა) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282330389, 30.10.2023 წ.).

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის № 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია შემოსავლების გეგმის გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 521.0 ათასი ლარით და შეადგენს 31643.3 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გრანტი გაიზარდა 638.0 ათასი ლარით. ფინანსური დახმარება 600,0 ათასი ლარით და სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება გაიზარდა 38.0 ათასი ლარით.

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 117.0 ათასი ლარით. გრანტი შემცირდა 15.0 ათასი ლარით (სატენდერო ეკონომია რგფ) და სხვა შემოსავლები შემცირდა 102.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 15.0 ათასი ლარით (სატენდერო ეკონომია). გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა სულ 536.0 ათასი ლარით. მერიის დაფინასება გაიზარდა 48,0 ათასი ლარით (ხელფასი 35,0 ათასი ლარი და საქონელი და მომსახურეობა 13.0 ათასი ლარი). სამხედრო აღრიცხვის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 15.0 ათასი ლარით. სარეზერვო ფონდი გაიზარდა 10.0 ათასი ლარით. გარე განათება გაიზარდა 16.0 ათასი ლარით. დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 175.0 ათასი ლარით. სპორტული ღონიძიებები გაიზარდა 8.0 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა 175.0 ათასი ლარით. სკოლისგარეშე განათლება გაიზარდა 15.0 ათასი ლარით. სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება გაიზარდა 38.0 ათასი ლარით. სპორტული სკოლის დაფინანსება გაიზარდა 15.0 ათასი ლარით. კულტურის ცენტრის დაფინანსება გაიზარდა 15.0 ათასი ლარით. ბიბლიოთეკების დაფინანსება გაიზარდა 6.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16 , წინააღმდეგი - 7

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება № 28, 24.11.2023 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის" დადგენილების პროექტი, 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის დანართის და 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტი - 2023 წლის 22 ნოემბერს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განიხილა თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი (განმარტებითი ბარათი თან ახლავს). განხილვის შემდეგ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ წარმოადგინა შემდეგი სახის შენიშვნები:

1. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის დაფინანსება გაიზარდოს 50,0 ათასი

ლარით და აღნიშნული ფინანსები მოხმარდეს მუნიციპალიტეტში ფეხბურთის გუნდის ჩამოყალიბებას და ხელშეწყობას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის დაფინანსება განისაზღვროს 2590,0 ათასი ლარით.

2. მუნიციპალიტეტში უსახლკარო ოჯახების სოციალური დაცვის გაუმჯობესების მიზნით შესაძლებელია ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუხლი გაიზარდოს 100,0 ათასი ლარით, რაც სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის დამატებით ორი ახალი სახლის მშენებლობას უზრუნველყოფს.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დასვა თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის მერისათვის დაბრუნება.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16 , წინააღმდეგი - 7

გადაწყვიტეს: საკრებულოს სხდომასა და კომისიის სხდომებზე გამოთქმული შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საკრებულომ გადაწყვიტა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს დაუბრუნდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი.

3.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №გ-29.292301115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტისსაკუთრებაში დარეგისტრირებულია უძრავი ქონება, რომელიც შესაძლებელია საინტერესო იყოს საპრივატიზაციოდ. შესაბამისად მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია მოხდეს მათი პრივატიზება ელექტრონული აუქციონის ფორმით.

სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განხორციელდა აღნიშნული ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრა:

1. ქ. თერჯოლაში მდებარე არასასოფლო-სამურნეო დანიშნულების 979კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს.კ. 33.09.42.236) – 34 300 (ოცდათოთხმეტიათას სამასი) ლარი.
2. ქ.თერჯოლაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 947 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს.კ.33.09.42.530) – 28 400 (ოცდარვაათას ოთხასი) ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16 , წინააღმდეგი - 7

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №გ-29.292301115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29233282, 24.11.2023.2023 წ.).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (სოფელ თუზში, მე -8 ქუჩა №4 -ში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (მრავალწლიანი ნარგავები) 5162 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 5 (ხუთი) წლის ვადით მოქალაქე ავთანდილ კოჩაძისათვის გადაცემა) განკარგულების პროექტი - მიწის ნაკვეთის იჯარით აღებას ითხოვს მოქალაქე ავთანდილ კოჩაძე შემდგომში მასზე დასასვენებელი სკვერის მოწყობისა და მოვლა-პატრონობის მიზნით. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ საიჯარო ქირის საორინტაციო ღირებულებად განისაზღვრა თვეში 100 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16 , წინააღმდეგი - 7

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (სოფელ თუზში, მე -8 ქუჩა №4 -ში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (მრავალწლიანი ნარგავები) 5162 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 5 (ხუთი) წლის ვადით მოქალაქე ავთანდილ კოჩაძისათვის გადაცემა) (განკარგულება №გ-29.2923328001.24.11.2023წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი